

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- 1) 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 2) 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 3) მინისტრის და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები;
- 4) 2014 წლის იანვრის თვეში მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები;
- 5) 2013 წელს სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები; (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა, და სამინისტროსაგან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით);
- 6) 2013 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. „როუმინგულ“ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;
- 7) 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით;
- 8) 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმარტებულ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან;

9) 2013 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით.

10) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით);

11) სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2013 წელს გაწეული ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია (გთხოვთ მიუთითოთ შესაბამის თანამდებობის პირზე ან თანამშრომელზე დროებით მფლობელობაში გადაცემულ ავტომანქანაზე გაწეული მომსახურების სახე, თანხის ოდენობა და მომსახურების პერიოდი; ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება);

12) 2013 წლის აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები;

13) 2013 წელს აუდიტორული შემოწმებების შედეგების ამსახველი ინფორმაციის სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის შემთხვევების რაოდენობა;

14) 2013 წელს აუდიტორული შემოწმებების შედეგად დასაქმებულთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების ოდენობა (პასუხისმგებლობების ფორმის, სახისა და გამოყენების თარიღის მითითებით);

15) 2013 წელს მაკონტროლებელი (როგორც შიდა უწყებრივი, ისე გარე) ორგანოების მიერ შემოწმებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებათა ნუსხა (მათი მოკლე აღწერილობის მითითებით).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ დაუყოვნებლივ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი